

ახალი ამბები

ცესკომ არჩევნების წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა



თბილისი.23.05.08.მედიანიუსი. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. როგორც დღეს გამართულ ბრიფინგზე ცესკოს პრესსპიკერმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა განაცხადა, ამ მონაცემებით ლიდერობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსათვის“, რომელმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 59,48 პროცენტი დააგროვა. მეორე ადგილზეა საარჩევნო ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“. მან ხმათა 17,69 პროცენტი მოიპოვა; მესამე ადგილზეა „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები“ ხმათა 8,26 პროცენტით, მეოთხე პოზიციას კი იკავებს „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ ამომრჩეველთა ხმების 7,55 პროცენტით.

არჩევნებში მონაწილე დანარჩენ რვა საარჩევნო სუბიექტს შორის ხმები ასე გადანაწილდა: რესპუბლიკური პარტია - 3,78; საარჩევნო ბლოკი „მემარჯვენე ალიანსი (თოფაძე, მრეწველები)“ - 0,92; პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი“ - 0,89; საარჩევნო ბლოკი „ტრადიციონალისტები - ჩვენი ქვეყანა და ქალთა პარტია“ - 0,46; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“ - 0,46; პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენტა კავშირი“ - 0,21; რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია - 0, 18 და პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“ - 0,12 პროცენტი.

ზურაბ კაჭკაჭიშვილის ინფორმაციითვე, ფაქტობრივად, დასრულდა მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების დაჯამება, სადაც ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ლიდერობენ. კერძოდ, არსებული 75 მანდატიდან 71 სწორედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ხოლო 2-2 რესპუბლიკური პარტიისა და „გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

რედაქტორი გიორგი ქიტიაშვილი